საქართველოს მთავრობის

დადგენილება №277

2023 წლის 28 ივლისი

ქ. თბილისი

„2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2022, 470000000.10.003.023820) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ №12 დანართის („დიაბეტის მართვა“):

1. მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) პროგრამის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან „დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურების კომპონენტით“ მოსარგებლე 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ბავშვები, ასევე 18 წელს გადაცილებული საქართველოს მოქალაქე შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტები, რომელთაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრული დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი, დაუნის სინდრომი ან დუშენ-ერბის დაავადება, რომლებიც იყენებენ CGM სისტემას და:

დ.ა) რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მათთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს;

დ.ბ) ოჯახში შაქრიანი დიაბეტით დაავადებულია 18 წლამდე ასაკის ორი ან მეტი პირი.“.

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების CGM სისტემასთან თავსებადი ტელეფონით (სმარტფონი) უზრუნველყოფა.“.

3. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. პროგრამის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ვაუჩერის (თანხმობის ფურცელი) მეშვეობით, მომსახურების დაფინანსების ერთეულს წარმოადგენს ერთი მოსარგებლისათვის განკუთვნილი ვაუჩერი (თანხმობის ფურცელი), რომლის ღირებულება განისაზღვრება არაუმეტეს 400 ლარით.“.

4. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებითა და „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ხორციელდება არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით.“.

5. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. პროგრამის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის ფარგლებში განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელია პირი/დაწესებულება, რომელიც ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით

დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.“.

6. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **30,000.0 ათასი** ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	**კომპონენტის დასახელება**	**ბიუჯეტი (ათასი ლარი)**
1	შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება	2,127.0
1.1	18 წლამდე ასაკის პირთა კომის გარეშე მიმდინარე შაქრიანი დიაბეტის სტაციონარული მომსახურება	640.0
2	სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება	810.0
3	შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა საანალიზო ტექნიკური საშუალებებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა	26,188.0
3.1	სისხლში გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის სისტემებითა და სენსორებით უზრუნველყოფა	5,840.0
4	უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	300.0
5	სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	415.0
6	CGM სისტემასთან თავსებადი ტელეფონით (სმარტფონით) უზრუნველყოფა (არაუმეტეს 400 ერთეული)	160.0
	სულ:	**30,000.0.“.**

7. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 და მე-11 პუნქტები:

„10. პროგრამის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისთვის თანხმობის ფურცლის მისაღებად მოსარგებლემ/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა განმახორციელებელს უნდა მიმართოს განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მოსარგებლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პასპორტის ასლი;

ბ) არასრულწლოვნის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პასპორტის ასლი, აგრეთვე არასრულწლოვნის დაბადების მოწმობის ასლი.

11. პროგრამის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპონენტის ადმინისტრირების დამატებითი პირობები განისაზღვრება განმახორციელებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სამინისტროსთან შეთანხმებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**